ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 348

“ 15 ” სექტემბერი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №16-24-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.16.05.032.015) 25 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნოდარ ლებანიძისთვის (პ/ნ 01007010358) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №16-24-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.16.05.032.015) 25 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნოდარ ლებანიძისთვის (პ/ნ 01007010358) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 30 აგვისტოს N32.02.626 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №16-24-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.16.05.032.015) 25 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ნოდარ ლებანიძისთვის (პ/ნ 01007010358) გადაცემაზე, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

2. შეთანხმდეს საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3 900 (სამი ათას ცხრაასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**